ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 228 (18770) | სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲨᲐᲮᲕᲔᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ სახელობის შახტის სააქტო დარბაზში მორიგი ცვლის გასვლის წინ უამრავი მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა. მათ ი. ვ. ანდროპოვის განცხადების ტექსტი გააცნო შახტის პარტბიუროს მდივანმა ნ. კბილაძემ.

— ეს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის ბრძნული, გონივრული განცხადება გვიღვიძებს პოლიტიკური სიფხიზლის გრძნობას, — თქვა თავის გამოსვლაში მეოთხე საექსპლოატაციო უბნის საწმენდი სანგრევის მოწინავე მუშამ გ. ცერცვაძემ, — ნათლად და მკაფიოდ გვამცნობს იმ ავანტიურისტულ ხრიკებს, რომლებსაც ამერიკის ხელისუფალნი მიმართავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამერიკის მსოფლიო ჰეგემონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს ბირთვული კატასტროფისაკენ უბიძგებს, გულისწყრომა გამოთქვეს კრებაზე გამოსულმა სხვა ტყიბულელმა მეშახტეებმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას.

ახალგოგური მხარდაჭერის გამომხატველი კრებები მოეწყო ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტებში, ქალაქის ზონის მსხვილი კოლმეურნეობების შრომითს კოლექტივებში.

Ზ. ᲪᲘᲠᲔᲥᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲮᲘᲚᲕᲜᲐ

ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, აუღელვებლად გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, რომელიც ბოლომდე და მთლიანად ამხელს ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელ მილიტარისტულ-ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომლის მიზანი მხოლოდ ერთია — გამალებულ შეიარაღებაში ჩათრეული მსოფლიო, გააჩაღოს ბირთვული ომი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეიგანის ანტიხალხური პოლიტიკა, ადამიანთა ბედის მიმართ მისი ცინიზმი სხვა არა არის რა თუ არა სხვა სახელმწიფოთა საქმეებში შეიარაღებული ძალების საშუალებით პირდაპირი ჩარევა, ნებისმიერი ამ ქვეყნის წინააღმდეგ ამერიკული იარაღის გამოყენება, რომელიც უარყოფს ვაშინგტონის დიქტატს.

ჩვენ გვწამს, რომ მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ბოლომდე დაიცავენ მშვიდობის საქმეს.

რ. ᲯᲘᲜᲯᲝᲚᲘᲐ,
ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲕᲘᲫᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. საწარმო-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მაბობრივად იმართება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომელთა მონაწილენი, გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მილიტარისტულ კურსს, იწონებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მტკიცე პოზიციას, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს. „კოლხეთმშენის“ ტრესტის ცხაკაიას მეხუთე მოძრავ-მექანიზებული კოლონნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ავტომაწყნის მოწინავე მძღოლმა რ. წურწუმიამ ვალდებულება აიღო ვადამდე — 15 დეკემბრისათვის შეასრულოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პირადი წლიური გეგმა. მებუღლოზერე ხ. დანელიას გადაწყვეტილებაა 20 დეკემბრისათვის უპატაჟოს სამშობლოს გეგმის შესრულება, ხოლო წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში შეასრულოს 1000 მანეთის ზეგეგმითი სამუშაოები.

— საბჭოთა ადამიანებმა, — აცხადებდნენ ხალიჩების კომბინატში, „კომბინირებული საკვების ქარხანაში, „საქსოფლტექნაფის“, ჩაის ფაბრიკებისა და სამედიცინო გაერთიანებებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში და სხვაგან გამართული კრებების მონაწილენი, — ყველაზე უკეთ იციან, თუ როგორ სჭირდებათ მსოფლიოს ხალხებს მოწმენდილი ცა, მშვიდობიანი აღმშენებლობითი ცხოვრება.

რ. ᲠᲣᲡᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲕᲐᲒᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის მშრომელები მკვლავმოუღლელად შრომობენ მეთერთმეტე ხუთწლედის საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრებისა და ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის. უამინდობის მიუხედავად, რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების 9 თვის საგეგმო დავალება. განსაკუთრებით ისახელეს თავი მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა. მათ 30 სექტემბრისათვის შეასრულეს საგეგმო დავალება და ნაკისრი ვალდებულება. საგეგმო 68.380 და ვალდებულებით ნაკისრი 72.300 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და გადაამუშავეს 72.400 ტონა ხარისხოვანი ნედლეული. შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 7.600 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

თავი ისახელეს კახათის, ინგირის, ნარაზენის, ჯიხაშ-კარის, ახალკახათის, კოკის, შამგონის, რიყის კოლმეურნეობების, განმუხურის, ანაკლიის, ორსანტიის და სხვა საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებმა, მუშებმა და მექანიზატორებმა.

ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება. ქართულ-კახეთის რაიონებისათვის სტიქიით მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად დამატებით დამზადდება 1.300 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კუტალიამ და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. დემურიამ.

● ●

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. (ტელეფონით. საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). სახელოვან ლანჩხუთელ მეჩაიეებს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების დიდებული ტრადიცია აქვთ. ისინი ყოველწლიურად ზრდიან საპექტრო მოსავლიანობას და აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ჩაის საშუალო საპექტარო მოსავლიანობით მათ რესპუბლიკაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავთ — ჰექტარზე 16 ტონამდე ნედლეულს კრეფენ.

საიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის საგანგებოდ მოემზადნენ მეჩაიეები. სეზონი ორგანიზებულად დაიწყეს, შეფერხება არ ჰქონიათ და შედეგსაც კარგს მიაღწიეს. 26 სექტემბრის ჩათვლით მოიკრიფა 28.225 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 26.200 ტონისა. მოკრეფილის პირველი ხარისხი 73 პროცენტია. ისიც აღსანიშნავია, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია 1.900 ტონაზე მეტი ნედლეული.

ჩინებულად იშრომეს აკეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ღლონტი) მეჩაიეებმა, რომლებმაც 4380 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს. ეს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებას 200 ტონით აღემატება.

თავი გამოიჩინეს სოფლების ჩოჩხათის, ნიგვზიანის, მამათის, აცანის, შუხუთის და სხვა კოლმეურნეობებმა, ლანჩხუთისა და ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობებმა.

— სამშობლო ჩვენგან მეტსა და მაღალხარისხოვან ნედლეულს მოელის, — გვითხრა საუბარში საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ კუნჭულიამ, — ეს კარგად იციან რაიონის მეჩაიეებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს სეზონის დამთავრებამდე მოკრიფონ სულ ცოტა 1000 ტონა ჩაის ფოთოლი.

გვჯერა, ლანჩხუთელ მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

● ●

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ რაიონის მშრომელები. ამჯერად თავი ისახელეს მეჩაიეებმა. მათ 27 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა-ვალდებულება. 32.900 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და გადამუშავებელ ფაბრიკებს ჩააბარეს 33.007 ტონა ჩაის ფოთოლი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 3.083 ტონით მეტი ნედლეული.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა. და აგროსამრეწველო გაერთიანებამ.

● ●

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ რაიონის მშრომელებმა შეასრულეს საიუბილეო წლის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ნაკისრი ვალდებულება. მოკრეფილია 10 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სტიქიის მიერ რესპუბლიკისათვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ რაიონის მეჩაიეები კისრულობენ სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრიფონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲡ

ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲐᲜᲯᲐᲠᲘᲫᲔ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ: ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲔᲚᲘᲡ „ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲐᲙᲘᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲒᲘᲜ ᲨᲔᲛᲘᲜᲓᲐᲠᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲜᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲠᲣᲡᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐᲓᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ „ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲐᲙᲘᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐᲓᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲑᲠᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲚ

უსტოეთუი

ფაქტები მოვლენები საკლასო იუფყეაბა

პარტიული ცხოვრება:

მიმდინარეობს კნგკარიშგებაკარჩევნები

თუ ყველა რეზერვს გამოვიყენებთ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ცხადყო, რომ მილმგლინავთა კოლექტივს მისი 178-კაციანი პარტიული ორგანიზაციის სახით ჰყავს ბირთვი, წარმმართველი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო კრიტიკულად შეაფასოს თავისი საქმიანობის უწვრილმანესი ნიუანსები, არამედ შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავლად რომ აქვს კოლექტივს. საამქროს პარტიულის მდივნის ჯ. გაბრიჩიძის საანგარიშო მოხსენებაში მხოლოდ სხვათა შორის ითქვა იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედეს საამქროს მუშაობაზე: ლითონის მიწოდების „გრაფიკის დარღვევა, მანქანა-დანადგარების სიძველე, მუშახელის ნაკლებობა და სხვა ამ ხელისშემშლელ პირობებზე აქცენტის გადატანა ცნობილი ფაქტების გამეორებაა იქნებოდა მხოლოდ.

—მთელი პასუხისმგებლობა, — თქვა მომხსენებელმა, — იმისთვის, რომ შვიდი თვის გეგმა მხოლოდ 95,3 პროცენტით შეესრულებინა და სახელმწიფოს დიდძალი პროდუქცია დავაკელით, ეკისრება ჩვენი საამქროს კოლექტივს და, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებს, რომლებიც მოვალეები ვიყავით გამოგვევლინა და აგვმოქმედებინა საამქროში არსებული ჯერაც გამოუყენებელი რეზერვები, პირადი მაგალითით თითოეული მშრომელის შესაძლებლობა და უნარი წარგვემართა ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების უთუო განხორციელებისათვის...

მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში საამქრომ გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა, მაგრამ მაის-ივნისსა და განსაკუთრებით კი ივლისში თავი იჩინა სიძნელეებმა. კოქსქიმიური საამქროსა და № 2 აგლოფაბრიკის მიზეზით ჩამორჩა საბრძმედე საამქრო. ამან, ცხადია, გავლენა იქონია მარტენის საამქროს მუშაობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, უწყვეტი ციკლის წარმოების წინა რგოლების მოშლამ მილმგლინავებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა, ლითონის მოწოდება შეფერხდა, ამან კი „400“ დგანის არარიტმული მუშაობა გამოიწვია, მკვეთრად შენელდა სატუმბე-საკომპრესორო და საჭიელ განყოფილებათა მუშაობის ტემპი.

კომუნისტებმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვეს შეკვეთების გეგმების შეუსრულებლობის გამო. მილმგლინავებმა შეკვეთების გეგმას დააკლეს 38 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია. აქედან 1 000 ტონა — სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებსა და ნავთობსარეწებს. ამიტომ პრინციპული მსჯელობა გაიმართა საკუთარ თუ თანამოსაქმეთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებზე. კომუნისტებმა, კოლექტივმა სიძნელეებს ვერ დაუპირისპირეს ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა, ვერ შეძლეს ბოლომდე აღმოეფხვრათ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მართალია, გაცდენათა რიცხვი — 8 კაცდღე — შვიდი თვის განმავლობაში არცთუ ძალიან ბევრია მრავალრიცხოვანი კოლექტივისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის აღკვეთილი სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და ადრე წასვლის შემთხვევები. გახშირდა ტექნოლოგიური დისციპლინა იქონია მარტენის საამქროს მუშაობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, უწყვეტი ციკლის წარმოების წინა რგოლების მოშლამ მილმგლინავებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა, ლითონის მოწოდება შეფერხდა, ამან კი „400“ დგანის არარიტმული მუშაობა გამოიწვია, მკვეთრად შენელდა სატუმბე-საკომპრესორო და საჭიელ განყოფილებათა მუშაობის ტემპი.

კომუნისტებმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვეს შეკვეთების გეგმების შეუსრულებლობის გამო. მილმგლინავებმა შეკვეთების გეგმას დააკლეს 38 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია. აქედან 1 000 ტონა — სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებსა და ნავთობსარეწებს. ამიტომ პრინციპული მსჯელობა გაიმართა საკუთარ თუ თანამოსაქმეთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებზე. კომუნისტებმა, კოლექტივმა სიძნელეებს ვერ დაუპირისპირეს ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა, ვერ შეძლეს ბოლომდე აღმოეფხვრათ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მართალია, გაცდენათა რიცხვი — 8 კაცდღე — შვიდი თვის განმავლობაში არცთუ ძალიან ბევრია მრავალრიცხოვანი კოლექტივისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის აღკვეთილი სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და ადრე წასვლის შემთხვევები. გახშირდა ტექნოლოგიური დისციპ-

ერთი დღე ახალგაზრდულ ბრიგადაში

ლინის დარღვევის ფაქტებიც. მაგალითად, № 1 ბრიგადამ დიამეტრის დარღვევით გაგლინა 160 ტონა მილი, ხოლო № 4 ბრიგადამ, გამოდევნა რა ტონების რაოდენობის, დაარღვია ლითონის გახურების გრაფიკი და ასი ტონის ზარალი მიაყენა ქარხანას. ორივე შემთხვევაში წარმოებული წუნიანი პროდუქცია, ცხადია, გაუსაღებელი დარჩა. ამიტომ მკაცრად გაკრიტიკეს ოსტატები და ცვლის უფროსები იმის გამო, რომ ცალკეულ ბრიგადებში შრომის ორგანიზაცია კვლავ დაბალია, სათანადო ყურადღება არ ექცევა ნედლეულისა და დამხმარე მასალების მომჭირნე ხარჯვას.

კომუნისტებმა თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ კადრებთან სუსტი მუშაობა მიიჩნიეს. მათი აზრით, პარტიულ ორგანიზაციას, მის ბიუროს არ ეყო უნარი, შეექმნათ იმგვარი ატმოსფერო, რომ საამქროდან სამუშაოდ სხვაგან არ წასულიყო მუშაობა ნაწილი. ასევე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ახალგაზრდებთან და, კერძოდ, საბაზო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რაც მათ საამქროს მყარი, ერთსულოვანი კოლექტივის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს.

კრიტიკა შეეხო აგრეთვე პარტიულ-ორგანიზაციულ, იდეურ-პოლიტიკურ და მასობრივ-აღმზრდელობითს, კომკავშირულ-მარტო კრიტიკულად შეაფასეს პირადი, საამქროსა და თვით ქარხნის ხელმძღვანელთა მუშაობა, არამედ მაგალითად საყურადღებო წინადადებები და შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება საამქროს უეჭველად ბევრად შეუწყობს ხელს ჩამორჩენის დაძლევაში. მაგალითად, შრომის ვეტერანმა, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანმა ე. კურტანიძემ კრების მონაწილეთა აღუთქვა წლის ბოლომდე ოთხი ახალგაზრდის აღზრდა-დაოსტატება. მას მხარი აუბა ვეტერანმა მშრომელმა ა. რობაქიძემ, რომელმაც თავის მხრივ ორი ახალგაზრდის დაოსტატება იკისრა. „400“ დგანის გლინვის ოსტატმა ვ. ოდიკაძემ კრების მონაწილეთ აღუთქვა, რომ მისი ბრიგადა 28 დეკემბრისათვის შეასრულებს წლის გეგმას და ზეგეგმით 500 ტონა მილებს აწარმოებს.

ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივმა იცის, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ქარხნის გამართულ მუშაობას, როგორ ზრუნავენ იმისათვის, რომ საწარმომ დროულად დააღწიოს თავი ჩამორჩენას. ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ ხაზი გაუსვა მილსაგლინავი საამქროს კოლექტივის შესანიშნავ შრომითს ტრადიციებს და რწმენა გამოთქვა, რომ დაძლევენ დროებითს ჩამორჩენას და კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგებიან. ასეთივე სურვილი გამოხატა თავის სიტყვაში პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა მ. ასანიშვილმა.

ა. კორძაია,
„კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

რთველი—83

გაზაფხულიდან მოყოლებული დღემდე დიდ განსაცდელში არიან კახეთის რაიონების მევენახეები. მათ წლის მოსავალი სტიქიასთან ჰიდილში გამოატარეს და ახლა მარნებში ამინავებენ.

ჭირვეულმა ამინდებმა მაინც თავისი ქნა, საფრთხეშია გეგმის შესრულება. ამიტომ ახლა ყოველი მეზვრის უპირველესი საზრუნავია გაუფრთხილდეს თითოეულ მარცვალ ყურძენს, დროულად მოკრიფოს და უკლებლივ მიიტანოს სახელმწიფო მარანში.

ამ თვითრეებში საყოველთაო უურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებს თელავის რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მევენახის იორამ გაფარაშვილის პატრიოტული თაოსნობა—სახელმწიფოს მაქსიმალური ოდენობით მიჰყიდოს საკარმიდამო მეურნეობაში მოწეული ყურძენი.

ამ თაოსნობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ყვარლის რაიონის საბუის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

სურათზე: რთველი ყვარლის რაიონის საბუის საბჭოთა მეურნეობაში.

ᲗᲣ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ

თბილისის მაუდ-კამოყლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ შრომის ინაზღაურების ბრიგადიერ მეთოდზე, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველად გადავიდა მაუდის ნართის სართავი საამქროს კოლექტივი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი ვ. ვერა ქემაშვილი ხელმძღვანელობს. ეს ის პერიოდი იყო, როცა კომბინატის გენერალური რეკონსტრუქცია მთავრდებოდა და საწარმოს შესაძლებლობანი ფართოვდებოდა. რეკონსტრუქციის შედეგად მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო კორპუსები, დამონტაჟდა მაქანა-დანადგარები, მწვანე ნარგავებით შეიმოსა მისი ტერიტორია, კეთილმოწყო მუშათა სასადილო და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისობიექტები.

დღეს განახლებულ კომბინატში ორი ათასზე მეტი კაცი იღებს წარმატების მოსაპოვებლად, და არცთუ უშედეგოდ.

კომბინატის კოლექტივი, ისევე როგორც წინათ, დღესაც მოწინავეთა რიგებშია.

საწარმოს მიღწევები ბევრად განაპირობა ახალგაზრდების თავდადებულმა შრომამ, საქმისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ... შემთხვევითი როდი იყო, რომ გერა ქემაშვილის კოლექტივის ბრიგადელ იჯარაზე გადასვლის შემდეგ სწორედ აქ, ამ საამქროში შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა კომუნისტი ქარგალი რამაზ ორჯონიკიძე ჩაუდგა. მას შესანიშნავი დახასიათება მისცა საამქროს უფროსმა თამაზ მუშკუდიანმა.

მიმდინარე წლის დამდეგს პირადად რამაზ ორჯონიკიძემ იკისრა ბეორდეულ ბეორგიევსკის ტრაქტორის 200 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გეგმის გადამეტებით 15 ტონა ნართი დეემზადებინა, მაგრამ როცა შვიდი თვის შედეგები შეჯამდა, გამოირკვა, რომ მას ამ ხნის განმავლობაში 11 ტონა ნართი უკვე გამოუშვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრიგადირს ყველა ცვლაში მხოლოდ გრაფიკის გასწორებით უმუშავია.

ხომ არ მოხდა ისე, რომ ბრიგადირს ყურადღება საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე გაეხვილდა, ხოლო კოლექტივი ადამი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, — შენელდა? არა, ასე არ მომხდარა. აი ფაქტებიც: პირველი კვარტალის გეგმა ბრიგადამ 107,4 პროცენტით შეასრულა და დავალების გადამეტებით 6643 კილოგრამი ნართი დაამზადა. არანაკლებ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მის მიერ გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად პირველი ხარისხისაა. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას, იგი 102,3 პროცენტით შესრულდა, ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპმა სხვა ბრიგადებთან შედარებით 7,2 პროცენტი შეადგინა.

მეორე კვარტალის შედეგები უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა, და აი, შვიდი თვის მონაცემებით დადგინდა, რომ ახალგაზრდა კოლექტივს გათვალისწინებულზე, ბევრად მეტი პროდუქცია გაუგზავნია მომხმარებლისათვის. თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად ახალგაზრდა კოლექტივმა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლის დამდეგს ჩამოყალიბდა, ივნისის მაჩვენებლებით ბევრ გამოცდილ კოლექტივს გაუსწრო და მეორე ადგილი და ფულადი პრემია დაიმსახურა. დღეისათვის მისი შრომითი კალენდარი ოქტომბრის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

ორგანიზატორული მუშაობის და კონტროლის შესახებ, აგრეთვე სხვა სერიოზული დარღვევებისათვის პარტიის კახური რაიკომის ბიუროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი გადწყვეტილებით სამუშაოდან გათავისუფლდა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი შ. გულიაშვილი.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაკადულიდან რედაქციამ კოლექტიური წერილი მიიღო. ავტორები მოითხოვდნენ რაიონული ცენტრიდან ნაკადულამდე ავტობუსის დანიშვნას. წერილი პარტიის ჩოხატაურის რაიკომს გადაეგზავნა, ამის თაობაზე რაიკომის მდივანმა კ. მდინარაძემ რედაქციას აცნობა:

ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ნაკადულში მიმავალი გზის შეკეთება, რაც უახლოეს დროში დამთავრდება. სოფლის მშრომელთა თხოვნას დაკმაყოფილებთ გზის კეთილმოწყობისთანავე.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი გ. რაქვიაშვილი გურჯაანიდან რედაქციას წერდა ქალაქის სავაჭრო ქსელში არსებული დარღვევების თაობაზე.

ამის გამო რედაქციის უპასუხებს პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ბ. სინჯიაშვილი:

წერილში აღნიშნული ფაქტები სწორია.

მკაცრად დაისაჯნენ ქალაქ გურჯაანის სავაჭრო გაერთიანების ხელმძღვანელები. აბასთანავე სათანადო ღონისძიებანი განხორციელდა სახელმწიფო ვაჭრობის წესების დაცვისათვის.

სახელმწიფო ვაჭრობის წესების დარღვევას შეეხებოდა გორის რაიონის სოფელ ტყვიავიდან გამოგზავნილი წერილი.

ამის გამო რედაქციას უპასუხებს გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ჯვარიძე:

რედაქციაში შემოსული წერილის შემოწმების შედეგები განიხილა ტყვიავის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ. მე-4 ფარდულის გამგე-გამყიდველს ე. ტაბუაშვილს გამოეცხადა საყვედური, ტყვიავის კოოპერატივის სავაჭრო განყოფილების გამგეს ნ. ბედელურს მიეთითა.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი მ. კიკობაშვილი ქალაქ გორიდან რედაქციას სწერდა, არა გვაქვს სასმელი წყალი და იქნებ თქვენ ბაინც დაგვეხმაროთო.

წერილის თაობაზე რედაქციას უპასუხებს გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ო. ნასყიდაშვილი:

გაცნობებთ, რომ დაწყებულია ქალაქის წყალხადენის რეკონსტრუქცია. წლეულს ამოქმედდება სამარაგო ავზები, რომლებიც შინდისის გზატკეცილის მცხოვრებთ სასმელი წყლით უზრუნველყოფენ.

კოლექტიურ განცხადებას, რომელიც რედაქციამ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთიდან მიიღო, უპასუხებს თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. მეხრაძე:

გაცნობებთ, რომ ასურეთა განცხადებაში დასმული საკითხი წლეულს მოგვარდება. მეურნეობა ავტოპარკს რუხთაველის ქუჩიდან თავის სამუშაო ეზოში გადაიტანს.

მოქალაქე მ. ქვთარაძემ რედაქციას წერილით მომართა. იგი ითხოვდა დახმარებას კუთვნილ პენსიაზე დანამატის დარიცხვის თაობაზე.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პენსიებისა და დახმარების სამმართველოს უფროსი ვ. კორკოტაშვილი:

შეეცნოთ ქვთარაძის წერილი. მოქალაქემ მოითხოვა ბუთი წლის ნამუშევრით მისი პენსიის გადაანგარიშება. ქვთარაძის თხოვნა დაკმაყოფილდა. ახლა მისი პენსია 75 მანეთსა და 99 კაპიკს შეადგენს.

რედაქციას გ. ზურაბიანი ლენტების რაიონის სოფელ ჩოლურიდან ატყობინებდა, რომ შვილი ყავს ავად და საჭირო წამლებს ვერ ვშოულობო.

ამის თაობაზე რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საფფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ხუციურაული:

გაცნობებთ, რომ ზურაბიანმა მიიღო მისი შვილისათვის საჭირო სამკურნალო პრეპარატები.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი გ. გველესიანი რედაქციას სწერდა გაპარტახებული, გაძარცული სამგზავრო ვაგონებისა და ვაგონ-რესტორნების თაობაზე.

ამის გამო რედაქციის უპასუხებს ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი რ. ყიფიანი:

ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურამ 1983 წლის მაისში შეამოწმა, თუ როგორ იცავენ სამგზავრო-სავაგონო პარკის მოვლა-დაცვის კანონებს ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებში. შემოწმების შედეგად გამოვლენილ უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტები. გზის უფროსის წინაშე დაისვა საკითხი, რომ მოიწყოს რევიზია, რათა განისაზღვროს ზარალი და რევიზიის მასალები გადაეგზავნოს ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის განსახილველად.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

დამთავრდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის VII კონფერენცია

ტაშკენტი. (საკადესის სპეც. კორ. ი. ვეკსლერი, ო. ოხიპოვი). პროგრესულ სიტყვის ოსტატთა ერთიანობისა და დარაზმულობის შთამბეჭდავი დემონსტრაცია გახდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის VII კონფერენცია, რომელიც 1 ოქტომბერს დამთავრდა უზბეკეთის დედაქალაქში. ამ წარმომადგენლობითმა ფორუმმა გვიჩვენა ორი დიდი კონტინენტის ლიტერატორთა განუზრელი მისწრაფება თავიანთი ნიჭი მოახმარონ მშვიდობის, პროგრესისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის სრიკების წინააღმდეგ ბრძოლას, ემსახუროს კაცობრიობის კეთილშობილურ იდეალებს.

თითქმის ერთ კვირას ტაშკენტში, სადაც მეოთხედი საუკუნის წინათ ჩაისახა აზია-აფრიკის მწერალთა მოძრაობა, განიხილავდნენ თანამედროვეობის ძირეულ საკითხებთან მჭიდროდ დაკავშირებულ აქტუალურ შემოქმედებითს პრობლემებს.

კონფერენციაზე მრავალ გამოსვლაში ნათქვამი იყო, რომ ამჟამად პროგრესული შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის, ყველა პატიოსანი ადამიანისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა არ არსებობს, ვიდრე შევაჩეროთ ახალი ომის გამოყენებები, ზმა ავიმაღლოთ მშვიდობის დასაცავად, ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ფორუმის მონაწილეებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი და მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება — ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი.

კონფერენციის საბოლოო სხდომაზე მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისადმი. მათ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს ორგანიზაციის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

აზია-აფრიკის ლიტერატურული ფორუმის მონაწილეებმა მსოფლიოს მწერლებს გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დღეს განსაკუთრებით იზრდება მწერალთა პასუხისმგებლობა მსოფლიოს ბედ-იღბლისათვის, გამოთქმულია რწმენა, რომ გამალებულ შეიარაღებას შეიძლება და კიდევაც უნდა მოეღოს ბოლო.

აქ, საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე, ნათქვამია მიმართვაში, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ გულწრფელია საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარული მიზნები — დაძაბულობის შენელება, სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცება და გაფართოება. ტაშკენტის შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთ კოლეგებს მოუწოდეს გააერთიანონ მეცადინეობა თერმობირთვული ომის საფრთხის, იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

დამასკო. წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობა სარკინიგზო მშენებლობის დარგში. საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიკური ხელშეწყობით სირიაში გაყვანილია 1.300 კილომეტრზე მეტი რკინიგზა. მან სირიის დედაქალაქი დაუკავშირა ჩრდილოეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ცენტრებს.

ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარების გზაზე ახალი ნაბიჯია სირიის დედაქალაქში სატრანსპორტო მშენებლობის ქვეკომისიის აქ გამართული სხდომის შედეგები შესახებ ოქმის ხელმოწერა. ეს ქვეკომისია შექმნილია საბჭოთა კავშირ-სირიის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივ კომისიასთან. შეთანხმებით, კერძოდ, გათვალისწინებულია რკინიგზის მშენებლობა სანაოსადგურო ქალაქებს — ლატაკიასა და ტარტუსს შორის, მოსამზადებელი სამუშაოების მოწყობა ქალაქებს დეირ-ეზ-ზორსა და აბუ-ქემალს შორის სარკინიგზო ხაზის გაყვანისათვის, აგრეთვე დამასკოდან სამხრეთ სირიის დერ'-ას პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრამდე რკინიგზის პროექტის შედგენა.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მიღწეული მორიგების შესაბამისად, 1983 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში სოფიაში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა. გარემოს გაჯუჯიანების წინააღმდეგ ბრძოლისა და საწვავის ეკონომიის პრობლემები დგას მსოფლიოს კონსტრუქტორთა უურადღების ცენტრში. ამ საკითხების გადაწყვეტაში თავიანთი წვლილი შეიტანეს რუმინელმა სპეციალისტებმა. მათ შექმნეს ავტობუსი (ხურაზზე), რომლის სახურავზეც დადგმულია ორი ბალონი უჩვეულო წარწერით: „დიზელის გაზი“. ბალონებში ორი ატმოსფეროს წნევის ქვეშ არის მეთანი, რომელიც დიზელის საწვავთან ერთად ქმნის საწვავის ნაერთს ძრავისათვის. მეთანის გამოყენებამ საშუალება მისცა ავტომობილის კონსტრუქტორებს დაეზოგათ 60 პროცენტი თხევადი სათბობი და მნიშვნელოვნად შეეფცირებინათ ატმოსფეროში გამონაბოლქვი გაზების მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევი.

ᲙᲝᲜᲒᲠᲝᲚᲒᲔᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲙᲐᲡᲐᲠᲘ რაიონის სოფელ ახალქალაქში გახშირდა სახლების გაქურდვა და სხვა დანაშაულობანი. ამ ამბით აღშფოთებულმა ახალქალაქელებმა რედაქციას წერილი მოსწერეს და თხოვეს დახმარება.

წერილი, ზომების მისაღებად, გადაეგზავნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამის გამო მინისტრის მოადგილემ გ. კვანტალიანმა რედაქციას აცნობა:

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორმა ნ. რაზმაძემ არაფერი არ მოიმოქმედა მოქალაქე დ. ნაზაროვას საცხოვრებელი ბინის გაქურდვის მცდელობის და ახალქალაქის სკოლა-ინტერნატიდან ბავშვების პროდუქტების დაკარგვის გამო.

ამავე განყოფილების ინსპექტორმა ლ. წითურაულმა კი გამოიტანა უსაფუძვლო დადგენილება, რომ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულიყო ახალქალაქის უნივერმაღში ფასების დამახინჯების გამო. ეს დადგენილება გაუქმდა და მიმდინარეობს დამატებითი გამოძიება.

მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის ნ. რაზმაძისა და ლ. წითურაულს დაედოთ დისციპლინური სახჯელები.

ორგანიზატორული მუშაობის და კონტროლის შესახებ, აგრეთვე სხვა სერიოზული დარღვევებისათვის პარტიის კახური რაიკომის ბიუროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი გადწყვეტილებით სამუშაოდან გათავისუფლდა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი შ. გულიაშვილი.

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ რაიონის სოფელ ნაკადულიდან რედაქციამ კოლექტიური წერილი მიიღო. ავტორები მოითხოვდნენ რაიონული ცენტრიდან ნაკადულამდე ავტობუსის დანიშვნას. წერილი პარტიის ჩოხატაურის რაიკომს გადაეგზავნა, ამის თაობაზე რაიკომის მდივანმა კ. მდინარაძემ რედაქციას აცნობა:

ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ნაკადულში მიმავალი გზის შეკეთება, რაც უახლოეს დროში დამთავრდება. სოფლის მშრომელთა თხოვნას დაკმაყოფილებთ გზის კეთილმოწყობისთანავე.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „კომუნისტის“ მკითხველი ბ. ბერაძე ბორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ეკითხებოდა:

რედაქციაში შემოსული წერილის შემოწმების შედეგები განიხილა ტყვიავის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ. მე-4 ფარდულის გამგე-გამყიდველს ე. ტაბუაშვილს გამოეცხადა საყვედური, ტყვიავის კოოპერატივის სავაჭრო განყოფილების გამგეს ნ. ბედელურს მიეთითა.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „კომუნისტის“ მკითხველი ბ. ბერაძე ბორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ეკითხებოდა:

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ სოფელ ასურეთიდან, ბ. ბერაძე ბორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ეკითხებოდა:

ქართულ მიწაზე ხალხთა მეგობრობა ზეიმობს

ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები

(დასასრული)

რუსეთისა და საქართველოს არქიტექტორთა თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ახალი გადაწყვეტებით გაამდიდრებს თანამედროვე ქალაქთმშენებლობის საერთო პრობლემების გადაჭრას.

(საქინფორმი).

სოხუმი

აფხაზეთის მშრომელები გულთბილად მასპინძლობენ სტუმრებს, ცნობილ მწერლებს, მხატვრებს, კინემატოგრაფისტებს. სოხუმელები ისმენენ ხელოვნების ოსტატთა საინტერესო კონცერტებს, ნახულობენ შემოქმედებითი კოლექტივების ამაღელვებელ წარმოდგენებს.

საგამოფენო დარბაზში გაიხსნა რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვრის ა. ოსიპოვის ნაწარმოებთა გამოფენა, სოხუმშივე მიმდინარეობს კინოფესტივალი.

სტუმრები ხვდებიან აფხაზეთის შემოქმედებითი კავშირების, სამეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითს კოლექტივებს.

დელეგაციის წევრები სოხუმიდან ახალ ათონში ეტაბილით გამგზავრნენ. იქ დაათვალიერეს საბჭოთა მეურნეობა „ფსირცხის“ ციტრუსოვანთა პლანტაციები, ეკუნენ მდვიმის კომპლექსსა და ძველ ტაძარში.

სტუმართმოყვარულად შეხვდნენ დელეგაციის წევრებს გუდაუთის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ მშრომელები. მათ სტუმრებს დაათვალიერებინეს მეურნეობა, ესაუბრნენ იმაზე, თუ რა წარმატებანი აქვთ მოპოვებული მეჩაიეებს, მევენახეებს, მეცხოველეებს, მექანიზატორებს სასურსათო პროგრამის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა და კულტურის ოსტატებმა აქ გამართულ კრებაზე აუარდღება დაუთმეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, მიღებულ მიმართვაში მათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვეს, რომ იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ დამკვრელურად შემოქმედებითი შრომით განამტკიცებენ მშვიდობას და საშობლოს თავდაცვის ძლიერებას.

სტუმრებთან ერთად გუდაუთის რაიონის მშრომელებს ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბათუმი

ბათუმის შესასვლელთან, შაციზლისპირას გზატკეცილისაგან ხელმარცხნივ ფიანდახად გადაშლილია მდელო. ათასობით ბათუმელი შეიკრიბა აქ ამ დარიან დღეს, რათა მონაწილეობა მიეღოთ დედასაქართველოში აჭარის დაბრუნებისადმი მიძღვნილი ძეგლის საძირკვლის ჩაყრის აღსანიშნავ მიტინგში.

ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი, რუსეთის ფედერაციის დელეგაციის წევრები, სამრეწველო საწარმოთა, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მოწინავენი, ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მოღვაწენი.

მიტინგის გახსნისას ვ. პაპუნიძემ თქვა:

— აჭარა ისტორიული აღორძინების ბაყფიო მაგალითია. ოსმანთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ უღიდესი ვნება მოუტანა საქართველოს ამ ძველთაძველი მხარის ეკონომიკასა და კულტურას. მის ბაკვდრ მოსახლეობას პრაკვალურის შეჰქმნია ფიზიკური განადგურების საფრთხე. და მხოლოდ 1878 წლის აგვისტოში, რუსეთის ჯარების ძმური დახმარებისა და ქართველ პატრიოტთა გმირული ბრძოლის მეოხებით ვახდა შესაძლებელი დედასაქართველოს დაბრუნებოდა მისი საბრეთი რეგიონები, მათ შორის აჭარაც.

მოედანზე დადგმული რეპროდუქტორებიდან მოისმის დიდებული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

გრანიტის ლოდზე ნელა ჩამოცურდა სახურველი. ქვაზე ოქროს ასოებით არის წარწერილი: „აქ დაიდგმება ძეგლი, რომელიც ქართველი და რუსი ხალხების ერთობლივი ბრძოლის შედეგად დედასაქართველოში აჭარის დაბრუნებას ეძღვნება“.

იქვე გამართულ სახელდახელო სცენაზე გამოვიდნენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შემოქმედებითი კოლექტივები. ეს იყო ხალხური ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული. (საქინფორმი).

ცხინვალი

გულგაშლილი შეეგება სამხრეთ ოსეთი რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. უფროს ძმათა პატივსაცემად ამღერდა ოსის ომახიანი ხმა, ცეცხლოვანი ცეკვა შეერწყა ანსამბლ „როსიას“ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ რუსულ სიმღერას. პირველად შეხვდა საქვეყნო ცნობილი მომღერალი ლუდმილა ზიკინა ოს მაყურებელს, ყვავილების ზღვაში ჩაძირეს იგი ცხინვალელებმა.

სამხრეთ ოსეთის მუსიკალური ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა ავრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტის მურად კაჟლაევის საავტორო კონცერტი.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში მათ შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. კაბულოვი და ოლქის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, მწერლები.

საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს ქმობის ბუნება — ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის მშენებლობა. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა უამბარ მათ როკის უნიკალური გვირაბის მშენებლობაზე და ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ გვირაბგამყვანებმა შეასრულეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულება — ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან მობავალი სადაზვერვო-სატრანსპორტო გვირაბები შეაერთეს. მთავარი მაგისტრალური გვირაბის შეერთებამდე 34 მეტრიღა დარჩა. ფ. სანაკოევი საპატიო სტუმრებს ესაუბრა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის იმ დიად აღმშენებლობაზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს მომმე ქართველი და რუსი ხალხის ხელშეწყობითა და დახმარებით.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქუთაისი

საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივანი ა. კარაბეინიკოვი, ქუთაისს ეწვია. ჯგუფში შედიან რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები — პოეტი, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ფ. სანაკოევი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. კაბულოვი და ოლქის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, მწერლები.

საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს ქმობის ბუნება — „ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის მშენებლობა. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა უამბარ მათ როკის უნიკალური გვირაბის მშენებლობაზე და ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ გვირაბგამყვანებმა შეასრულეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულება — ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან მობავალი სადაზვერვო-სატრანსპორტო გვირაბები შეაერთეს. მთავარი მაგისტრალური გვირაბის შეერთებამდე 34 მეტრიღა დარჩა. ფ. სანაკოევი საპატიო სტუმრებს ესაუბრა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის იმ დიად აღმშენებლობაზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს მომმე ქართველი და რუსი ხალხის ხელშეწყობითა და დახმარებით.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქ. პერმის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები სტუმრად თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლეში; თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსის საძირკვლის ჩაყრა ბათუმში; საქართველოს სს რესპუბლიკაში რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი დიდების მემორიალთან ქუთაისში; ა. იურლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რესპუბლიკური რუსული საგუნდო კაპელის წევრები; მაუდ-

კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მაუდსართავ საამქროში (მარცხნიდან): ვ. სოროკინი, მრთველთა ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ქემმაშვილი, რ. დანილკინი, ვ. კაპიტონოვი და გ. ლუკინა.

Ვ. ᲒᲔᲜᲔᲒᲘᲣᲠᲘᲡ, Შ. ᲙᲠᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡ („კომუნისტი“), ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ, Გ. ᲒᲘᲠᲡᲐᲛᲘᲡ (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ობის მდივანი ნ. დორიზო, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ტაკჩოვი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, მოსკოვის სატირის თეატრის მსახიობი ზ. ვისოკოვსკი და სხვები, მომღერლები და მოცეკვავეები, ესტრადის ოსტატები.

პირველ ოქტომბერს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა ქუთაისში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ზეიმი. სტუმრებს მხურვალედ პიესალმა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ასლანიკაშვილი. სიტყვით გამოვიდა დელეგაციის ხელმძღვანელი, პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივანი ა. კარაბეინიკოვი. შემდეგ მაყურებელს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა.

მეორე დღეს სტუმარ-მასპინძლები ეწვივნენ ქ. მაიაკოვსკს, სადაც დათვალიერეს რევოლუციის ტრიბუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლმუზეუმი, სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მუზეუმის ექსპონატებმა, რომლებიც კიდევ უფრო შეიცვნო ახალი მასალებით დიდი პოეტის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო დღეებში.

დღის პირველ ნახევარშივე მოეწყო სტუმართა შეხვედრა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივთან, აქვე სტუმრებთან ერთად ახალ კორპუსში ხალხმრავალი შეხვედრა მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადების განხილას.

შეხვედრა გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა რ. ჭეიშვილმა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ქარხნის გამმართველი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნ. კულუმბეგაშვილი, ამჟამად ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში სამონტაჟო სამუშაოთა დაჩქარებისათვის დასახმარებლად მყოფი ქ. მინსკის ჩარხსაშენებელი ქარხნის სამკერალ უფროსის მოადგილე ა. იეევსკი, ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ნ. შამუგია და სხვები, რომლებიც ერთსულოვნად გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა უგუნურ პოლიტიკას და საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ შეიარაღებაში ჩაითრიონ მთელი მსოფლიო. ჩვენ ძმობისა და მეგობრობის ქვეყანაში ვცხოვრობთ და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ ოკეანისგაღმელმა ვაჟბატონებმა ხელყონ მშვიდობის საქმე.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

შეხვედრის მონაწილეებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა გამართეს დიდი კონცერტი.

საღამოს სტუმრები ეწვივნენ სამხატვრო გალერეას, სადაც გაიხსნა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის ვ. ნეჩიტაილოს პერსონალური გამოფენა. ხოლო შემდეგ მოინახულეს ისტორიული გელათი, აქვე მოუსმინეს ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალციხე

ახალი დღესასწაული იშვიათად თუ ახსოვს მესხეთის მიწა-წყალს. ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის რაიონების მშრომელები, თბილისელი სტუმრები, რუსეთის დელეგაციის წევრები შეიკრიბნენ სწორედ იქ ადგილას, სადაც 155 წლის წინ დაიღვარა ახალციხისა და მთელი მესხეთ-ჯავახეთის განთავისუფლებისათვის დაღუპულ რუს მეომართა სისხლი.

ყღერს ქართული მრავალჟამიერი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა თეთრი საბურველი ჩამოხსნა საძირკვლის ლოდს. ლოდზე ქართულ და რუსულ ენებზე წარწერილია: „აქ დაიდგმება ძეგლი საქართველოსათვის ისტორიული სამცხე-საათაბაგოს მიწების დაბრუნების აღსანიშნავად“.

დღესასწაული გაგრძელდა მესხეთის სახელმწიფო თეატრში, სადაც გამოვიდნენ რუსეთის წარმომგზავნილნი, საქართველოში რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი.

— ეს დღე სამუდამოდ დაახსომდება მესხეთ-ჯავახეთის ყოველ მცხოვრებს, — თქვა კონცერტის შემდეგ წარჩინებულმა მეუღლეკავატორემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თეიმურაზ მაჩაიძემ. — მესხეთის მიწა-წყალზე სახელგანთქმული მომღერლის, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის რენატ იბრაგიმოვის გამოსვლა მართლაც დიდად სასიამოვნოა.

— ბედნიერი ვარ, რომ ეს ტურფა მხარე ვნახე, — თქვა სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა ელენე ზიმენკოვამ.

(საქინფორმი).

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ:

„მე მსახიობი ვარ და ადამიანის სახის გამომეტყველებაში არ შევცდები. მაშინვე განვსაზღვრავ, გულწრფელია თუ არა მისი თვალების გამოხედვა, ღიმილი... ჰოდა, აქ, თბილისში, და საერთოდ სადაც კი ვიყავი საქართველოში, ვერც ერთი ყალბი გამომეტყველება ვერ ვიხილე. ეს კი ბედნიერებაა. მთელი ჩემი გულით და სულით ვგრძნობ, რომ ჩვენ, რუსებსა და ქართველებს, ერთმანეთი გვჭირდება, ერთმანეთს ვავსებთ. მოდით, ნურც ერთ წუთს ნუ შევანელებთ ერთმანეთისადმი ყურადღებას, გაუმარჯოს ჩვენი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას, განვამტკიცოთ ძმობა“.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ,

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი

ᲣᲙᲕᲔ მესამედ ვარ საქართველოში. მართალი გითხრათ, ყოველი ჩამოსვლა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, — უფრო მეტსა და მეტს ვგებულობ ხალხზე, რომელიც ათას მომხდურთან ბრძოლაში შექმნა „ვეფხისტყაოსანი“ და სვეტიცხოველი, ვარიია და „მრავალჟამიერი“.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება ხალხთა ურთიერთგაცნობასა და მეგობრობაში მთარგმნელობითს ლიტერატურას.

სწორედ მთარგმნელისთვის არ არსებობს არავითარი გეოგრაფიული დაბრკოლება — ზღვები, ოკეანეები, მთები. სიტყვამ არ იცის არავითარი საზღვარი, მას ადამიანებთან მიაქვს სხვადასხვა ხალხთა ცხოვრება, მათი ტრადიციები, ფიქრები და ოცნებები, და ამგვარად წიგნები შემდგომ ის გიგანტური ხიდები ხდებიან, ადამიანთა გულთა შორის რომ გიდგება და ერთმანეთის გაცნობასა და დაახლოებას, დამეგობრებასა და დამოყვრებას ემსახურება.

ჩვენს ხალხებს ოდითგანვე აინტერესებთ ერთმანეთის ლიტერატურა. თვალსაჩინო რუსი მწერლები უძველესი დროიდან თარგმნიდნენ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. რუსმა ხალხმა კარგა ხანია შეიყვარა შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა ქმნილებანი.

მთარგმნელობითმა მოღვაწეობას წარმატებით ეწეოდნენ ნიკოლოზ ტიხონოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ბორის პასტერნაკი, პაველ ანტოკოლსკი, ვიქტორ გოლუევი, კონსტანტინე სიმონოვი და სხვები. ამ ტრადიციას ერთგულად აგრძელებენ ალექსანდრე მეჟიროვი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, იუნა მორიცი, მიხეილ სონეულნიკოვი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მათ რუსულად აამეტყველეს არა მარტო კლასიკოსთა, არამედ თანამედროვე ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები.

მე პროზაიკოსი გახლავართ და საკმაოდ დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს ნოდარ დუმბაძესთან. ინტერესით ვეცნობი მის ყოველ ნაწარმოებს. ასეთივე შემოქმედებითი ურთიერთობა მაქვს გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებთანაც.

მიხარია, რუსთაველის ენაზე რომ ითარგმნება ჩემი რომანი „უცრემლო ძეწნა“. რომანში ასახულია საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ამბები და მოიცავს საკმაოდ ვრცელ ეპოქას — დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ წლებს. როგორც იცით, ამ ნაწარმოებისათვის სახელმწიფო პრემია მომენიჭა.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს. მე სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე გახლავართ და ჩემს შემოქმედებაში ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის თემამ ღირსეული ადგილი დაიკავა. ამჟამად ვმუშაობ რომანზე, რომლის სახელწოდება იქნება „სტალინგრადი“.

ახლანდელი ჩამოსვლა და ურთიერთობებიც ძალზე ნაყოფიერი გამოდგება ჩემთვის, როგორც შემოქმედისთვის. — უფრო ახლოს გავიცნობ მშრომელ ხალხს და, რაც მთავარია, ახალ მეგობრებსაც შევიძენ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲣᲓᲘᲜᲘ,

პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ლეგენდების ქვეყანაა. მე იგი შევიყვარე პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებით. შემდეგ კი ბედნიერება მხვდა საკუთარი თვალით მენახა ეს ზღაპრული მხარე. როცა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას გავეცანი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ პასტერნაკის თარგმანები არხებობდა, მე მაინც გავბედე მეთარგმნა ეს თავისებური პოეტი, ამჟერად მთლიანად.

საქართველოში მუდამ გულითადად მომიხარია. ვიცნობ მის თითქმის ყოველ კუთხეს, მყავს ბევრი მეგობარი. ნიშანდობლივია ეს დღეები, — როცა რეიგანი ომის ფსიქოზს აღვივებს, ჩვენთან მშვიდობიანი შრომის და ხალხთა დაძმობილების დღესასწაულია. თუ რა შეუძლია დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხს, ამის ნათელი მაგალითია აჭარის მშრომელთა მიღწევები. სულ რაღაც ერთი თვის წინათ ვიყავი აჭარაში. მაშინაც გულითადად მიმასპინძლეს. არ მომცილებია ჩემი მეგობარი პოეტი ფრიდონ ხალვაში. და აი ჩვენ ისევ ერთად ვართ. ახალი მეგობრული შეხვედრები, ახალი მეგობრების შეძენა მე ძალას მმატებს და შთაგონებით აღმავსებს. ბევრი ლექსი მიმიძღვნია საქართველოსათვის. კვლავაც მივუძღვნი.

ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲚᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის მდივანი

ᲯᲔᲠ კიდევ სამი თვის წინაა, ზაფხულში დაიწყო ჩვენი ორი ხალხის კულტურის დღესასწაული, როცა რუსეთის სფს რესპუბლიკაში იმართებოდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის პირველი ისტორიული ტრაქტატის დღესასწაულმა ამჟამად თქვენს რესპუბლიკაში გადმოინაცვლა, და გასაგებია ის სიხარული და მღელვარება, რომელსაც ჩვენ განვიცდით, როცა შემოქმედებითს ანგარიშს ვაბარებთ მეტად მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე. საქართველოს ზოგიერთ ქალაქში გაიხსნა რუსეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენები.

მე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ხავერდოვანი შემოდგომის ამ ბრწყინვალე დღეებში აფხაზეთის დედაქალაქის მასპინძლებს ესოდენ გულთბილი მიღებისათვის, ხელშეწყობისათვის და მინდა დიდი წარმატება ვუსურვო გამოფენას, რომელიც გააცნობს სოხუმელებს რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვრის, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის მდივნის ა. ოსიპოვის საინტერესო შემოქმედებას.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘ,

ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ მოვახსენებთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებს გულთბილი შეხვედრისათვის, სიყვარულისათვის.

ოსეთში მე პირველად ვარ. მსმენია ამ ხალხის გულუხვობისა და ვაჟკაცობის ამბავი და დღეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე და შევიგრძენი. რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში ხალხთა ძმობისა და სიყვარულის, მონოლითურობის უდიდესი გამოხატულებაა. სწორედ ამ მონოლითურობის წყალობით არის უძლეველი საბჭოთა ხალხი.

ოს ხალხს ეუსურვებდი კვლავაც მაღლა ეჭიროს ხალხთა ძმობის დროშა...

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲐ,

არფების კვარტეტის მუსიკალური ხელმძღვანელი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი

ᲩᲕᲔᲜᲘ კვარტეტი თბილისელ მსმენელს არაერთხელ შეხვედია, მაგრამ აქ ყოველ ჩამოსვლას მაინც თავისებური ღელვა და სიხარული ახლავს. იქნებ იმიტომაც, რომ თბილისი ჩვენი პირველი საგასტროლო ქალაქია. ანსამბლის შექმნიდან სულ რაღაც ერთი წელი იყო გასული, რომ თბილისში გავმართეთ კონცერტი, ასე რომ, თბილისელები კვარტეტის პირველი შემფასებლები იყვნენ. ეს იყო ამ 23 წლის წინათ.

კვარტეტის წევრები ელეონორა კუზმიჩევა, ელენე ფროლოვა, სვეტლანა მარკიჩევა და მე ჩვენს პროფესიულ დოსტატებას ცნობილ პედაგოგს ქსენია ერდელს ვუმადლით, რომელმაც აღგვზარდა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში. აქვე დავუფასლოვდით და დავუმეგობრდით ჩვენს თანაკურსელებს, ქართველ მუსიკოსებს ეთერ მგალობლიშვილს, ნოდარ გაბუნიას, ილარიონ ჭეიშვილს, ალექსანდრე ნიგარაძეს. სხვათა შორის, კვარტეტის წევრის ელეონორა კუზმიჩევას პედაგოგი გნესინების სახელობის სამუსიკო სასწავლებელში გასლდათ მიხეილ მჭედლიშვილი, რომლის ნათელ ხსოვნასაც დიდი სიყვარულით ინახავს მისი აღზრდილი.

გულითადი მეგობრობა გვაკავშირებს აგრეთვე ქართველ არფისტებთან ნატალია ავალიანთან და შაქრო ფურცხვანიძესთან. კვარტეტის რეპერტუარში ყოველთვის სიამოვნებით შეგვაქვს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ახლა დავასრულებთ ზაქარია ფალიაშვილის „ოპერა „დარისის“ ნაწყვეტს და კომპოზიტორ დალი ჩხეიძის არფების კვარტეტისათვის დაწერილ კონცერტს. ძალიან გვინდა შევიტანოთ ჩვენს რეპერტუარში ოთარ თაქთაქიშვილის რომელიმე ნაწარმოები, რომელიც არფებისთვის იქნება გადამუშავებული.

ერთი სიტყვით, თავს ბედნიერად ვთვლით, რომ კვლავ მოგვეცა საშუალება შეგხვედროდით ჩვენს საყვარელ თბილისსა და ჩინებული გემოვნების მქონე თბილისელ მაყურებელს.

ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲡᲐᲕᲘᲪᲙᲐᲘᲐ:

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ

ᲒᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲘᲗ სვეტლანა ევგენის ასულ სავიცკაიას, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, საბჭოთა კავშირის გმირს, გამომცდელ მფრინავს. იგი 500-ჯერ და მეტჯერ გადმოხტა პარაშუტით, დაამყარა სამი საპარაშუტო და თხუთმეტი საავიაციო მსოფლიო რეკორდი. ათვისებული საავიაციო ტექნიკის დიაპაზონი — სასწავლო-საწვრთნელი დგუშიანი „იაკებიდან“ ზებგერით რეაქტიულ ავიაგამანადგურებლამდე.

— პატივცემულო სვეტლანა, კოსმოსში ფრენის ხანგრძლივობა ნიადაგ მაღულობს. რით არის ეს გამოწვეული?

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ უკვე მარტო ომისათვის კი არ დავფრინავთ, რომ უბრალოდ დავიფიქსიროთ თვით ფრენა, არამედ კონკრეტული მუშაობაც გავწიოთ, მათ შორის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგის შეკვეთებით. ამავე დროს, ყოველი ფრენა ახალი, კიდევ უფრო გართულებული ტექნიკის გამოცდაა.

— რამდენად საჭიროა ხანგრძლივი ფრენა?

— მე და ჩემს კოლეგებს ხშირად გვისვამენ ამ კითხვას. ახლა კოსმოსური სივრცეში მიმდინარე მუშაობა უწონობის მდგომარეობაში ყოფნის დიდ გამოცდილებას მოითხოვს. ეს ნაკარნახევია როგორც აუცილებლობით, გამოვიკვლიოთ მისი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე, ასევე ექსპერიმენტების არსითაც, იმისათვის, რომ შევისწავლოთ პლანეტის ბუნებრივი თავისებურებანი, მისი გეოლოგიური სტრუქტურა, ბიოსფერო, ზღვები და ოკეანეები, საჭიროა, რომ კოსმონავტს, როგორც იტყვიან, მახვილი თვალი ჰქონდეს. კოსმოსში ყოფნის ერთი კვირის ან ათი დღის მანძილზე ადამიანი ვერ მოასწრებს შეისწავლოს, მაგალითად, ოკეანეების წყლის ზედაპირის ნიუანსები, სამაგიეროდ, რამდენიმე თვეში ყოველივე ეს ზეპირად ეცოდინება.

რა თქმა უნდა, უფრო ხანმოკლე ფრენაც ეწყობა. მაგრამ მას ახასიათებს ექსპერიმენტების სიმრავლე. ზოგჯერ ხუთ-რვა დღეში ეწყობა ოცამდე სრულიად სხვადასხვა ექსპერიმენტი. ამასთან გაითვალისწინეთ, რომ ისინი ეწყობა, როგორც მედიკოსები ამბობენ, უწონობის პირობებთან ორგანიზმის ადაპტაციის მწვავე პერიოდის ფონზე. ასეთი პერიოდის ხანგრძლიობა ინდივიდუალურია: ზოგიერთ კოსმონავტს იგი ერთ კვირას უგრძელდება, ზოგიერთს კი მხოლოდ ერთ დღე-ღამეს. მაგრამ ამის მიუხედავად, არა მარტო უნდა შესრულდეს სამუშაო, არამედ მაღალხარისხოვნადაც.

— შეიძლება იმის თქმა, რომ ახლა ხანგრძლივი პილოტირებული ფრენის დროს კოსმოსში ექსპერიმენტები ხელს უწყობს კოსმონავტიკის მომავალს, განსაზღვრავს მისი განვითარების ძირითად მიმართულებებს?

— რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვართ, რომ კოსმონავტიკის მომავალი, ჯერ ერთი, პილოტირებული ორბიტული სადგურებია, რომლებშიც ეკიპაჟები ვახლტებენ ალექსანდრე მეჟიროვი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, იუნა მორიცი, მიხეილ სონეულნიკოვი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მათ რუსულად აამეტყველეს არა მარტო კლასიკოსთა, არამედ თანამედროვე ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები.

მე პროზაიკოსი გახლავართ და საკმაოდ დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს ნოდარ დუმბაძესთან. ინტერესით ვეცნობი მის ყოველ ნაწარმოებს. ასეთივე შემოქმედებითი ურთიერთობა მაქვს გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებთანაც.

მიხარია, რუსთაველის ენაზე რომ ითარგმნება ჩემი რომანი „უცრემლო ძეწნა“. რომანში ასახულია საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ამბები და მოიცავს საკმაოდ ვრცელ ეპოქას — დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ წლებს. როგორც იცით, ამ ნაწარმოებისათვის სახელმწიფო პრემია მომენიჭა.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს. მე სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე გახლავართ და ჩემს შემოქმედებაში ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის თემამ ღირსე

„ციხიაგორას“ იშვიათი არქეოლოგიური ნობათი

ალმოჩენილია ოქროს იშვიათი სამკაულები, ტაძარი, წისქვილი და სათონე, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს განეკუთვნება

ზემოდგომის თბილი, მზიანი დღეა თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ ჰპირდებოდა კავთისხევში დაბანაკებულ არქეოლოგებს. 1983 წლის 29 სექტემბერს კავთურასა და შავწყალას შესართავთან, „ციხიაგორას“ მახლობლად ჩვეულებრივი სამუშაო დღე დაიწყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები გადარუჯულ ბექობზე სამაროვნის გათხრას განაგრძობდნენ.

შუადღისას მიწიდან უცნაური ფორმის საგანმა წამოყო თავი, არქეოლოგებმა ნიჩაბ-ბარები გვერდზე გადადეს და ახლა ფუნჯითა და დანებით განაგრძეს მუშაობა. თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა — მიცვალებულისთვის ჩაეტანებინათ, კიდევ მოაშორეს მიწას თხელი ფენა და... ღირდა ამდენ მოთმინებად, რუდუნებად, ლოდინად! ოქროს სამკაულები, საყურეები, კილიტები, გულსაკიდები, ვარდულები მზის შუქზე გაბრწყინდა, იქვე აღმოჩნდა ვერცხლისა და ბრინჯაოს იშვიათი ნაკეთობანი — თასი, ჩაჩრა, ზარები, სამაჯურები, ბეჭედები (печать), სხვადასხვა მინერალისა და ნახევრად ძვირფასი ქვის მძივები და სხვ.

აღმოჩენილ ოქროს ნივთებს შორის (სულ ორასი ერთეულია!) უპირველესი მნიშვნელობისაა ოქროს ფირფიტა — ჩვენი შორეული წინაპარი ოქრომჭედლების უმშვენიერესი ნახელავი. ფირფიტას დისკოს ფორმა აქვს, მას გარს მცენარეული ორნამენტებით შემკული კუწუბოები მოუყვება და ვარდულები არის გაწყობილი. ფირფიტის გულში მრგვალი მინანქარია ჩასმული, რომელსაც გარშემო მზის სხივები გასდევს. დიდი მხატვრული და ისტორიული ღირებულება აქვს სამაროვანში ნაპოვნ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სხვა ნივთებსაც.

— სამარხი ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით თარიღდება, — გვითხრა მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის განყოფილების გამგემ, კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა გიორგი ცქიტაშვილმა. — ჩვენი ვარაუდით, აქ დამარხული უნდა იყოს მზის ღვთაების ტაძრის ერთ-ერთი ქურუმი.

მზის ღვთაების ტაძარი. ეს იშვიათი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ასევე ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით თარიღდება, არქეოლოგებმა სულ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს სამაროვანთან ახლოს, „ციხიაგორაზე“.

ამ გორაკზე გათხრებს ექსპედიცია 1971 წლიდან აწარმოებს და უკვე ჩანს, რომ „ციხიაგორა“ საქართველოს უძველესი წარსულის დღემდე ბევრი საჭვიმანო და ბურუსით მოცული ეპოქალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას გვპირდება.

გათხრებით დასტურდება, რომ პირველმოსახლეები აქ 5.000 წლის წინათ მოსულან, ეგრეთ წოდებული ადრე ბრინჯაოს ხანის და-





საწყისში. მას შემდეგ, თუ არ ჩავთვლით შუა ბრინჯაოს ხანას, წელთაღრიცხვათა მიჯნამდე აქ ინტენსიური ცხოვრება ჩქეფდა. სატაძრო ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც ახლახან გაითხარა, მთლიანად ადასტურებს არქეოლოგების მოსაზრებას.

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე გორაკი ადამიანთა ჩვეულებრივ სამოსახლოს წარმოადგენდა — შემორჩენილია რვა სხვადასხვა დროის კულტურული ფენა, V-IV საუკუნეებისათვის მოსახლეობა გორაკიდან დაწლა, მდინარის ხეობაში გადასახლებულა, გორაკზე კი საერთო სალოცავი — მზის ღვთაების ტაძარი აუშენებია.

ტაძრის ნაგებობა ასი კვადრატული მეტრია და სხვა ნაგებობებისაგან საკუთარი ქვის გალავნით არის გამოყოფილი, მთლიანად კომპლექსს კი ალაზის გალავანი აქვს შემოვლებული. ტაძარი ფლეთილი ქვით არის ნაგები, მშრალწყობით. კედლების სიმკვიდრისთვის მშენებლებს ხის არმატურა გამოუყენებიათ; აღსანიშნავია, რომ „ციხიაგორას“ გარდა, ქართულმა ხეროთმოძღვრებამ კედლის ასეთი წყობის მხოლოდ ერთი შემთხვევა იცის. ქვის კედლის სიმაღლე 2,70 მეტრია, სპეციალისტების ვარაუდით, ტაძრის შენობის სიმაღლე ხუთი მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო.

ტაძრის ეზოში, შესასვლელის პირდაპირ, ქვით ნაგები ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველია, რომელზეც წმინდა ცეცხლი ენთო, აუდა ხდებოდა ღვთაებისადმი მსხვერპლად შეწირული ცხოველების ნაწილების დაწვა — აღმოჩენილია ცხვრის დამწვარი ძვლები.

ტაძარში აღმოაჩინეს აქამენიანთა ირანის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სვეტის თავი, რომელზეც ერთმანეთისაგან ზუსტად ერთმანეთისაგან ზუსტად ერთ-ერთ ქურუმი.

ამ ადგილზე ასევე ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეთ თარიღდება, არქეოლოგებმა სულ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს სამაროვანთან ახლოს, „ციხიაგორაზე“.

ამ გორაკზე გათხრებს ექსპედიცია 1971 წლიდან აწარმოებს და უკვე ჩანს, რომ „ციხიაგორა“ საქართველოს უძველესი წარსულის დღემდე ბევრი საჭვიმანო და ბურუსით მოცული ეპოქალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას გვპირდება.

გათხრებით დასტურდება, რომ პირველმოსახლეები აქ 5.000 წლის წინათ მოსულან, ეგრეთ წოდებული ადრე ბრინჯაოს ხანის და-

სურათებზე: ციხიაგორას გათხრებზე: ქვემოთ — სამარხში აღმოჩენილი ოქროს ნივთები; ზემოთ — ოქროს ვარდულები.

ეს არც ისე წვრილმანია

გზადაგზა, თვალის ერთი გადავლებით

ისტორიული თარიღის ათვის გულმოდგინე სამზადისია თელავი, ესოდენ გულგასახარად რომ შენდება, მშვენდება, ირთვება და იკაზმება ეს ბოლო ათი წელიწადია. ამასთან საფიქრალი და საზრუნავი ულევია განახლებული ქალაქის მესვეურთათვის.

დღეს ჩვენ მასპინძლის თვალით ვათვალიერებთ თელავის შემოგარენს: მოედნებს, სკვერებს, პროსპექტებსა და ქუჩებს იმ განზრახვით, რომ კეთილი თვალით, ალალი გულით დავინახოთ და ვიგრძნოთ ის, რაც შეიძლება გამოგვრჩა წვრილმანის სახით და რამაც შეიძლება ჩვენი ქალაქის გულშემატკივრებს გული ატკინოს.

ერთი შეხედვით „წვრილმანად“ რომ გვეჩვენება, ზოგჯერ ლაქად დაემჩნევა ხოლმე ქალაქს შესანიშნავი მოღწეულების ქათქათა ფონზე.

თელავი ადრე იღვიძებს. და ჩვენც რეიდის მონაწილენი ადრიანად გავყვივთ მის ქუჩებს. ძაფსაღებ-საგრეხი, წინდის საქსოვი, სამკერვალო ფაბრიკების, სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები ადრე დილით გამოსულან და თავიანთი საწარმოებისაკენ მიეშურებიან, მაგრამ ეს რაღაა, საიდანღა გაჩნდნენ ცენტრალურ ქუჩებში და მოედნებზე მაწანწალა ძაღლები, ყეფა-ყმუილით რომ არღვევენ დილის მყუდროებას? არათუ სტუმრის, თვით მასპინძლის მიჩვეულ თვალსაც არ სიამოვნებს ქალაქის ცენტრში ძაღლების ხროვა. ნუთუ ამის აღკვეთა ძნელია?

ამაზე თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატში ასე გვიპასუხეს: ქალაქში მაწანწალა ძაღლების ლიკვიდაცია ვერ ხერხდება იმის გამო, რომ არ გვაქვს სპეციალური დამჭერი ბადეები, საკითხი აღძრულია სადაც ჯერ არს და მისი დადებითად გადაწყვეტისთანავე ეს ნაკლი გამოსწორდება.

ამ „წვრილმანის“ შემდეგ პირველი მაისის ქუჩას ვეწვიეთ. ეს უბანი „ძველი გალავნის“ სახელწოდებით არის ცნობილი, თუმცა იგი განახლებულია. ძველი ისტორიული სახლების გვერდით მოჭიმედებს სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი, არის კინოთეატრი, საშუალო სკოლა, ორი საბავშვო ბაგა-ბაღი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, განათლების მუშაკთა სახლი, რაიარქივი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალი ახალი ობიექტი.

მაგრამ ათასი წლის წინათ ნაშენები და დღემდე დაცული „ძველი გალავანი“ ჩვენი ცნობიერებიდან არ ამოიშლება. პირველი მაისის ქუჩაზე თითქმის ყველა ძველ ნაგებ ბინაზე გაკრულია მემორიალი „დაცულია სახელმწიფოს მიერ“... მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ისტორიულ ნაგებობებს დაცვის არაფერი ეტყობა, ზოგი მათგანი ისე „შეუკეთებია“ და „გადაუკეთებია“ დღევანდელ მფლობელს, რომ სახლს „ისტორიულობა“ დაუკარგავს, ზოგი შენობაც ინგრევა და პატრონი არ ჩანს. ვფიქრობთ, საჭირო იქნება „ძველ გალავანში“ ეს ისტორიული სახლები აღდგეს თავისი პირველი სახით, როგორც ეს ძველი თბილისის უბანში მოხდა.

„ძველი გალავნის“ უბანში ახლახან დამთავრდა პირველი მაისი-

ეს არც ისე წვრილმანია

სა და შაუმიანის ქუჩების მოასფალტება, დაიწყო და რატომღაც ისევ შეჩერდა გაგარინის, მიასნიკოვის და ჯაფარიძის ქუჩების კეთილმოწყობა. რაც გაკეთდა, ისიც ზერელედ. თელავის II საგზაო-საექსპლატაციო უბნის (უფროსი თ. აბდულაშვილი) მუშაკებმა უხარისხოდ დააგეს შავი საფარი, ქუჩის ნაპირები დაუტკეპნავი დატოვეს და უკვე დაიწყო ასფალტის დაშლაც. მოგროვილი სამშენებლო ნარჩენები პირველი მაისისა და შაუმიანის ქუჩების შესაყართან კუთხეში დაყარეს და გატანა ალარავის უფიქრია. მოსახლეობა კი ზედ ამატებს ნაგავს, მოუწესრიგებელია ღვარსაშვები და საკანალიზაციო გაყვანილობები!...

ამ უბნის ქუჩებზე ბევრია დაუმთავრებელი სამუშაოები, გათხრილი ორმოები, უწესრიგოდ დაყრილ საშენ მასალათა ნარჩენები.

„ახინებულის“ ტერიტორია ახალგაზრდა მშენებარე უბანია. დღითი დღე ფართოვდება მისი გეოგრაფიული საზღვრები, შენდება მაღლივი კორპუსები, საუწყებო, კომუნალური თუ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლები. ამ უბნის უკვე ამშვენებს საშუალო სკოლის თანამედროვე პროექტით ნაგები შენობა, ბაგა-ბაღი, ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტები, რომლებიც მომსახურებას უწევენ შვიდი ათასზე მეტ მცხოვრებს. სამწუხაროდ, ეს ტერიტორია გაუსუფთავებელია, ნაომარი გეგონება თავისი თხრილებით. ასე უწესრიგოდ დატოვეს ნაშენები ტერიტორია რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მექანიზებული კოლონების მშენებლებმა, ქალაქის სახლმმართველობის და კომუნალურ საწარმოთა კომბინატის მუშაკებმა.

ქალაქში დამაკმაყოფილებელი არ არის ტაქსით მომსახურება. მთელ ქალაქში მხოლოდ ერთი გაჩერებაა — საკოლმეურნეო ბაზარმაღაზიის წინ გამგე-გამყიდველს მ. გოგიაშვილს რომ გაუშენებია. მაგრამ ზოგან შეხვდებით ახალ ნერგებს, ბოროტ ხელს რომ გადაუმტვრევია და მოუფლელობისაგან ზეზეურად კვდებიან. ეს ასე არ მოხდებოდა, საზოგადოება უფრო მეტ გულმოდგინებით რომ უვლიდეს ნარგავებს. ასეთი ფაქტები შეეხინშეთ სანაპიროზეც და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებშიც, პარკებშიც და სკვერებშიც. ქალაქის გამწვანებაზე ცოტას როდი ზრუნავს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი. მარტო 1983 წელს მათ მიერ ქალაქში დარგულია 1700 ძირი კედარი, ცაცხვი, იფანი, ფიჭვი, ნეკერჩხალი და სხვა. მაგრამ სამწუხაროა, რომ შემდეგ მის მოვლა-პატრონობაზე ალარავინ ფიქრობს. ასე, მაგალითად, რუსთაველის ქუჩაზე დარგული 750 ძირი ვარდიდან აშკარად 100 ძირიღა დარჩა. ნაწილი განადგურდა მოუვლელობისაგან, ნაწილი კი მოიპარეს.

ადრე ქალაქის ცენტრალური პარკი (ძველი და ახალი ბალი), „ნადიკვარი“ მშრომელთა დასვენების და თავშეყრის ადგილი იყო: იდგა სკამები, იყო გამაგრილებელი წყლების და ტკბილეულობის გასაყიდი კიოსკები, პარკს ამშვენებდა ყვავილნარი, მაგრამ დღეისათვის აქ მხოლოდ ძველის მოგონება და რამდენიმე მორყეული სკამი შემორჩა. „ნადიკვარზე“ საზაფხულო ესტრადა-თეატრის ერთ დროს შესანიშნავი შენობაც დაძველდა და მის შეკეთებაზე დღემდე არავის უზრუნვია, მიუხედავად იმისა, რომ ამ თეატრის შეკეთება და საერთოდ ნადიკვარის მოვლა-პატრონობაც ინტურისტმა იკისრა.

სტუმრებს აუცილებლად მიიზიდავს 40 წლის წინათ აშენებული საკოლმეურნეო ბაზარი. იგი ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს. ტერიტორიის სივიწროვის გამო შეუძლებელია სანიტარიული წესრიგის დაცვა.

თელავი თავისი ისტორიული წარსულით და აწმყოთი იმსახურებს ყოველგვარ სიკეთეს, რაც თვით თელაველებს შეუძლიათ შექმნან, რათა ქალაქ-მუზეუმის სახელი უჩრდილო და უნაკლო იყოს.

რეიდის მონაწილენი: მ. ზუნრაბიშვილი — თელავის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე, ვ. ლეშკაშელი — პარტიის თელავის რაიკომის ინსტრუქტორი, ლ. ნატროშვილი — გაზეთ „ალაზნის განთიადის“ განყოფილების გამგე, მ. ყარაულაშვილი — თელავის რაიხალხეიდხადგურის კომუნალური მეგზეთის სანიტარული ექიმი, დ. ნუსხელიძე — თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ინჟინერი, დ. გერგიშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ყაბალი

საწყისი ეტაპის შემდეგ

თბილისში ერთსა და იმავე დროს გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა და ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩები. მასპინძლებმა — თბილისის დინამოელებმა მართლაც საუცხოოდ ჩააბარეს ეს მეტად ძნელი გამოცდა და ხუთი მატჩის მოგებით გათამაშების ცხრილში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდრეს. რიგის ტურში თბილისელთა მსგავსად კაუნასის „ჟალგირისმა“ იასპარეზ დაუმარცხებლად და ეს გუნდი ბურთების უკეთესი ბალანსით ახლა პირველ ადგილზეა.

გადავხედოთ გათამაშების ცხრილს:

	მ.	წ.	ქ.
„ჟალგირისი“ (კნ)	5	0	5
„დინამო“ (თბ)	5	0	5
ასკ (კ)	3	2	3
„დინამო“ (მ)	3	2	3
ვეფი (რ)	3	2	3
„უნივერსიტეტი“ (ტ)	2	3	2
ცსკა	2	3	2
„სპარტაკი“ (ლ)	2	3	2
რტი (მნ)	2	3	2
„სტროიტელი“ (კ)	2	3	2
ასკ (რ)	1	4	1
„სტატიბა“ (ვ)	0	5	0

კალათბურთელები პირველი წრის დასკვნითს მატჩებს მოსკოვში 25-30 ოქტომბერს გამართავენ.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა კოლექტივმა კალათბურთელებისაგან განსხვავებით შედარებით მოკრძალებულად იასპარეზა. და ეს არც არის გასაკვირი. ჩვენს ხელბურთელებს ხომ კიდევ არაერთი პრობლემა აქვთ დასაძლევი, რომელთაგან უმთავრესი სრულფასოვანი რეზერვის მომზადების პრობლემა გახლავთ. ამ მხრივ მეტი შრომა მართებთ მწვრთნელებს, რომლებიც მოზარდთა ჯგუფებს ხელმძღვანელობენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს საკითხი მოუგვარებელია და რესპუბლიკის მთავარი გუნდის მომავალზე საუბრისას განსაკუთრებული ოპტიმისტური განწყობილების საფუძველი არა გვაქვს.

მას შემდეგ, რაც თბილისსა და კრასნოდარში ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპის შეხვედრები დამთავრდა, გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ქ.
ცსკა	5	0	0	10
ფიზ. ინსტ. (კრ)	4	0	1	8
ასკ (მნ)	3	1	1	7
საავ. ინსტ. (მ)	3	1	1	7
„ნევა“ (ლ)	3	0	2	6
„ბურევ.“ (თბ)	3	0	2	6
„პოლიტი“ (ჩ)	2	1	2	5
„გრანტასი“ (კნ)	2	0	3	4
ინდ. ინსტ. (ზპ)	1	1	3	3
„კუნცევო“ (მ)	1	0	4	2
„ცელტნიკი“ (რ)	1	0	4	2
ასკ (ლვ)	0	0	5	0

ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები კაუნასში 19-26 დეკემბერს მოეწყობა. შესვენების ეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი მომავალი ტურისთვის ნაყოფიერი მზადებისათვის უნდა გამოვიყენოთ, რათა ამჟამად მოპოვებული პოზიცია არათუ განვამტკიცოთ, შეძლებისდაგვარად დავწინაურდეთ კიდეც.

ს. დევიძე.

ემზადებიან

9 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამ შეხვედრისათვის მოსამზადებლად საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა მიიწვიეს: **მეკარეები** — რ. დასაევი („სპარტაკი“) და ვ. ჩანოვი (კიევის „დინამო“), **მცველები** — ს. ბოროვსკი (მინსკის „დინამო“), თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე (ორივე — თბილისის „დინამო“), ს. ბალტაჩი, ა. დემიანენკო (ორივე — კიევის „დინამო“) და ა. ბუბნოვი („სპარტაკი“), **შუა** და მოიერიმე ხაზების მოთამაშენი — გ. ლატოვჩენკო, ო. პროტასოვი (ორივე — „დნეპრი“), ა. ბალი, ლ. ბურიაკი, ვ. ევტუშენკო, ო. ბლოხინი (ორივე — კიევის „დინამო“), ი. გავრილოვი („სპარტაკი“), ა. ტარხანოვი (ცსკა), ს. ანდრეევი (როსტოვის ასკ), რ. შენგელია (თბილისის „დინამო“ და ხ. ოსანესიანი („არარატი“). ბერძნებთან საბჭოთა ოლიმპიური გუნდის მატჩის შემდეგ ქვეყნის მთავარ ნაკრებს ფეხურთდება სპარტაკელი თ. ჩერენკოვი.

საბურნირო ორბიტა

სამგო. კიევში დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს კიდევ ხუთ წონითს კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ესენი არიან ხ. ბატლუკა (მონღოლეთი, 52 კგ), ბ. მინევი (ბულგარეთი, 62 კგ), ნ. ბარანოვი (სსრ კავშირი, 74 კგ), ა. პუშნიცა (სსრ კავშირი, 90 კგ) და ვ. სობოდირევი (სსრ კავშირი, უმძიმესი წონა),

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მოიგი ტურის შეხვედრა ლანჩხუთის „გურიამ“ შინ გამართა სოლენსკის „ისკრასთან“ და იგი დამარცხა ანგარიშით 1:0.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1988 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებას მოწყვეტით

დიფერენციალური განტოლებები და მათემატიკური ფიზიკა; გეომეტრია-ტოპოლოგია; მათემატიკური კიბერნეტიკა; მყარი სხეულების მექანიკა; გეოფიზიკა (სეისმოლოგია).

წარმოებას მოუწყვეტლივ

მათემატიკური ანალიზი (2); დიფერენციალური განტოლებები და მათემატიკური ფიზიკა (2); ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია; გამოთვლითი მათემატიკა; რადიოფიზიკა, კვანტური რადიოფიზიკის ჩათვლით; ორგანული ქიმია; ფიზიკური ქიმია; მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია; ბოტანიკა; ზოოლოგია, გენეტიკა; სკკპ ისტორია (2); პოლიტიკური ეკონომია (2); მანქანათმშენებლობის საწარმოთა ეკონომიკა, დაგეგმვა და ორგანიზაცია; ვაჭრობის ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა; სტატისტიკა; დიალექტიკური მატერიალიზმი; ისტორიული მატერიალიზმი; მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ხელეფლის ჰიდროლოგია, წყლის რესურსება; გეომორფოლოგია; საინჟინრო ფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია.

უწყებათაშორისო, შიდარესპუბლიკური და რესპუბლიკათაშორისო 1983 წლის ასპირანტურაში მიღების გეგმის შესაბამისად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყოფილია შემდეგი მიზნობრივი დანიშნულების საასპირანტო ადგილები:

წარმოებას მოწყვეტით

აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის: ფიზიკური ქიმია; ბოტანიკა; ზოოლოგია, გენეტიკა; ადამიანის ანატომია; ფიზიოლოგია; ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის: დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურა.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის: კლასიკური ფილოლოგია; ბიოფიზიკა.

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის: გამოთვლითი მანქანებისა და სისტემების მათ. უზრუნველყოფა.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის: ალგებრა და რიცხვთა თეორია; საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი (2).

საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოსათვის: სასარგებლო სამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსათვის: ავტომატიზებული სისტემების მართვის დამუშავება და ორგანიზაცია; ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი (2).

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსათვის: სამშენებლო მასალები და ნაკეთობანი.

საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის: სკკპ ისტორია; სსრკ ისტორია; მსოფლიო ისტორია; პოლიტიკური ეკონომია; ფოლკლორისტიკა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროსათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა (2).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა.

სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის: მათემატიკური ანალიზი; ბიოფიზიკა; ქართული ენა. **ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის:** ექსპერიმენტული ფიზიკა.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის: ფიზიკური ქიმია.

საქართველოს სსრ მეცნიერთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის: ბიოქიმია.

საქართველოს სსრ სახოფლოსამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისათვის: მიკრობიოლოგია; ბოტანიკა.

საქართველოს სსრ ვაჭრობისა და შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის: ვირუსოლოგია.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის: სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის: პოლიტიკური ეკონომია, გამოთვლითი მათემატიკა.

ჭ. თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისათვის „ელვა“: მეცნიერული ორგანიზაცია და შრომის ეკონომია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრისათვის: მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის: ფილოსოფია; ეკონომიკა; ისტორიული გეოგრაფია; სსრკ ხალხთა ლიტერატურა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის: ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა; ინგლისური ენა.

აჭარის ასსრ პროფსაბჭოსათვის: თურქული ენები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინფორმაციის სექტორისათვის: დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტისათვის: ესთეტიკა.

საქართველოს სსრ ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის: შრომის ეკონომიკა.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის: ფრანგული ენა.



თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტისათვის: ინგლისური ენა; ფრანგული ენა.

გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის: საზღვარგარეთის ქვეყნების, აზიისა და აფრიკის ხალხთა ლიტერატურა.

დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიხალბჭოს აღმასკომისათვის: საქართველოს ისტორია.

საქართველოს სსრ სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა (2).

საქართველოს სსრ ფოტოტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის: სკკპ ისტორია; სსრკ ისტორია; მსოფლიო ისტორია; პოლიტიკური ეკონომია; ფოლკლორისტიკა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროსათვის: ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა (2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის: ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა; ინგლისური ენა.

აჭარის ასსრ პროფსაბჭოსათვის: თურქული ენები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინფორმაციის სექტორისათვის: დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტისათვის: ესთეტიკა.

საქართველოს სსრ ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის: შრომის ეკონომიკა.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის: ფრანგული ენა.

ასპირანტურაში წარმოებას მოწყვეტით მიიღებიან 35 წლამდე ასაკის, ხოლო **წარმოებას მოუწყვეტლივ** — 45 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და არჩეული სპეციალობით სულ ცოტა ორი წლის მუშაობის სტაჟი. 1983 წლის კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საასპირანტო რეკომენდაციით.

ასპირანტურაში შემსვლელნი ასპირანტურის განყოფილებაში საბუთების შემოტანისას უნდა გამოცხადდნენ პირადად და წარმოადგინონ პასპორტი.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა წარმოადგინონ რექტორის სახელზე და თან დაურთონ შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი (ფოტოსურათი); უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი დანართითურთ (ნოტარიალურად დამოწმებული); 2 ფოტოსურათი (3X4); დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან; ავტობიოგრაფია; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ან საასპირანტო რეკომენდაცია; გამოქვეყნებული შრომების სია.

ის პირნი, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომა არა აქვთ, წარმოადგენენ სამეცნიერო მოხსენებას (რეფერატს) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელნი ანარიცხენ მისაღებ გამოცდებს— სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

შენიშვნა: 1. ის პირნი, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა, თავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან და სარგებლობენ ასპირანტურაში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით.

2. იმ პირთ, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის საგნები ფილოსოფიასა და უცხო ენაში, აბარებენ მისაღებ გამოცდას სპეციალობასა და სკკპ ისტორიაში.

3. სკკპ ისტორიის სპეციალობით შემსვლელნი გამოცდას აბარებენ სპეციალურ საგანში, სსრ კავშირის ისტორიასა და უცხო ენაში.

4. მიზნობრივი წესით გამოგზავნილი პირები წარმოადგენენ მომართვას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მათთვის გამოყოფილ თითოეულ მიზნობრივი დანიშნულების ადგილზე შეუძლიათ მომართვა მისცენ რამდენიმე კანდიდატს, რომელთაც უნივერსიტეტი მოუწყობს კოჯურსს.

საბუთები მიიღება ამა წლის 25 ოქტომბრამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 ნოემბერს.

**და